# სახალხო გაზეთი

№ 678 კვირა, 19 აგვისტო, 1912 წ. № 678

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.

**სახ. გაზ. კანტორა.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**
**1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.**
**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

17 ამა მარიამობისთვეს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი.

ცოლი მისი **დარია გიორგის ასული, ცოლის ძმა ექიმი ნ. მრევლიშვილი მეუღლითურთ, და მისი სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა ქმრით გიორგი აბრამის ძით,** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს და სთხოვენ პატივი სცენ და დასაფლავებას დაესწრნენ 21 აგვისტოს დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათ. საგურამოს ქ. № 21.

---

„**დეკანოზი იოანე ანტონის ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული კაპანაძენი შვილებით** უგულითადეს მადლობას სწირავენ აბასთუმნის, ხაშურის და ქ. გორის საზოგადოებათა და სამღვდელოებათ, ნათესავთა, ნაცნობთა, ამხანაგთა და გორის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების უფროსთა და წარმომადგენელთ და ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადად თუ წერილობით თვისი პატივისცემა და გულმტკივნეულობა გამოუცხადეს მათი უსაყვარლესის შვილის **ილიკო კაპანაძის** გარდაცვალების გამო“. (2—1421—1)

---

**ელისაბედ და ნინო ზაქარიას ასულნი ალექსანდრე გაბრიელის ძე ბულუსაშვილი, იოსებ ზაალის ძე მამაცაშვილი და გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს პირველნი საყვარელ მამისას და მეორენი სიმამრისას და მესამე ბიძისას,

## ზაქარია ივანეს ძე ბუთიკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას 19 აგვისტოს დილის 9 საათზე, ნაძალადევში რკინის გზის მოსამსახურეთა სადგურიდან № 9 ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—612—2)

---

## ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)

კვირას, 19 აგვისტოს, 1912 წ. ავჭალის ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მომღერალთა გუნდის მიერ **ბ. ვასო მათურელის** ლოტბარობით გაიმართება

## კონცერტი

შეასრულებენ **ქართლ-კახურ სიმღერებს.** დასასრულ გუნდი სიმღერით შეასრულებს ლეკურს. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 9 ნახ საათზე. შესვლა თეატრში უფასოდ. სტუმრები იხდიან კაცები 50 კ., ქალები, სტუდენტები და საშუალო სასწავლ. მოწაფენი 25 კ.

**ანონსი:** სამშაბათს, 21 აგვისტოს, დანიშნულია კლუბთან არსებულ დამკვრელთა გუნდის ბენეფისი. მონაწილეობას მიიღებენ ქ. ძნელაძე (სკრიპკაზე) და ბ-ნი ღვინიევი (ბარიტონი). 2.[illegible]445.2

---

## „ტფ. ქართ. საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი“.
(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

**ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.**

(10.1449.1) **გუნდის გამგეობა.**

---

**საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.**
სამშაბათს 21 აგვისტოს 1912 წელს

## ორკესტრის ბენეფისი.

გამართულ იქნება სიმფონიური საღამო ქ. თამარა ძნელაძის (სოლისტკა) და ბ. ღვინიაშვილის (ბარიტონი) და ბ. ს ი. პრესმანის ლოტბარობით. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ფასი თეატრის ბილეთებისა 1 მანეთიდან—20 კაპეიკამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ: კაცები—50 კაპ., მანდილოსნები, სტუდენტები და საშუალო სასწავლებლის მოწაფენი—25 კაპ. (2—1445—1)

---

**დიდუბეში**



კვირას 19 აგვისტოს, 1912 წ. გაიმართება დიდი საინტერესო

## კავკასიური ჭიდაობა

იჭიდავებენ 15 წყვილი ხალხის მოთხოვნილებით იჭიდავებენ ბაყალი ტამატა და მექათმე მოსიკოშვილი მეორედ გადაწყვეტით. ჭიდაობენ 1 წყვილი მ. კურხული და ეკლესიელიშვილი, 2 წყვილი ს. კანდელაკიშვილი და ჩაგრიევი 3 წყვილი, დოთიაშვილი და ზაალიშვილი 4 წყვილი, ილიკო დიღმელი და ტ. საგურამელი 5 წყვილი, სუქნიშვილი და ბესო ბუზარიაშვილი 6 წყვილი, გაგნიძე პატ. ქიზიყელი 7 პატარა ტიგიშვილი და ვანო ქუმსიშვილი.

გარდა ამისა იჭიდავებენ დანარჩენები, დასაწყისი საღამოს ხუთ საათზე. ადმინისტ. [illegible]—6[illegible]8—[illegible]

---

**„ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის“**

## გამგეობისაგან.

რადგან სცენის-მოყვარეთა არსებული დასი უკვე დაშლილად არის ცნობილი, ამიტომ ხელ-ახლად იწვევს სცენის-მოყვარეებს (ქალებსა და კაცებს) მომავალ (1912—1913 წ.წ.) სეზონისათვის.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს, მან პირობების გასაგებად უნდა მიჰმართოს „ავლაბრის წრის“ თავმჯდომარეს **თომა ზაქარიას ძე ნასიძეს,** ავლაბარში, შემახიის ქ., № 5, ნაშუადღევის 4-დან 6 საათამდე. (2.1448.2)

---

ტფილისის სათავად-აზნაურო ქალთა

## სასწავლებლის გამგე

აცხადებს, რომ მისაღები და გადასასვლელი გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვეს.

**თავისუფალი ადგილებია:**
1, 2 და 3 განყოფილებაში და აგრეთვე 1 და 2 კლასში. (5.1441.4)

---

## სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

რეჟისსორი ალ. რ. წუწუნავა სთხოვს წრის სცენის მოყვარეთ, მობრძანდნენ წრის სარეპეტიციო ბინაზე (მიხეილის პროსპ. სახ. № 102 ორშაბათს, 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (1—621—1)

---

## ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

**მიღება და ჩაწერა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.**
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. სად 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29. სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით სად. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11. მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.

**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.**

(12.1435.6) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

---

ტფილისის სათვერმლო

## სკოლა

მიხეილის საავადმყოფოსთან ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ განმეორებითი გამოცდა დაიწყება 21, 22 და 23 აგვისტოში, მხოლოდ მისაღები გამოცდა მოხდება 25, 27, 28 და 31. დასაწყისი დილით 8 ს. თხოვნების მიღება მოისპობა 15 აგვისტოს. (3.1423.3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძალენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**
**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ჩიქობავა ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირაძოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი ხაფასურით. (წ. [illegible]910.96)

---

წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლისათვის

## საჭიროა მასწავლებელი

**მიწათ-მოქმედებისა და მეფუტკრეობისა.**

დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა **ილია წინამძღვრიშვილი.**

(3.1443.3)

---

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**

| | |
|---|---|
| **ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** | **თელავში—თამარ აბაშიძესთან.** |
| **სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** | **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.** |
| **სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** | **ბაქოში—ილია აგლაძესთან.** |
| **სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** | **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.** |
| **ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** | **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან** |

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

---

ტფილისის ქართული **ფილარმონიული საზოგადოების**

## სამუსიკო სკოლა

**გადავიდა ახალ სადგომში** კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

**მოწაფეთა მიღება:** ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის. ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 5 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იქნეს ნახევარის წლობით.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქექოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში, თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი და სწავლის დაწყება 1 სექტემბერს. (10.[illegible]429.2

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 367)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ჭიაპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

## წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—58).

---

## ექიმი

**შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**მირაგოვი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს. გარდა კვირ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 21)

---

**ელექტრონისა და რენტგენის**
**სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—67)

ვიღებ
მოწაფე ქალებს
წლოვანთ და მცირე წლოვანთ, ვასწავლი ყველა ხელსაქმეს სამაგალითოდ ვამზადებ სამ თვეში.
მისამართი: მიხეილის ქუჩა № 120, იკითხეთ ცხვარაძესთან. მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს., საღამოთი 4 საათზე. (3.602.2)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—92)

ექიმი კბილისა აბასთუმანში
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—45)

ექიმი ქალი
დ. გ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.5)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა
პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1049—123)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—27)

ექიმი აბასთუმანში
ე. ი. მინასიანცი
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.226)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.181)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა
ნინო რცხილაძე
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ., სვანიშვილისა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** დღეს შუადღისას, საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამოვა. მის შესაგებებლად ტფილისიდან გაემგზავრა ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსი ბარონი ფონ-როპპი.

✦ **წირვა** დღეს მწირველნი არიან საქართველოს ეგზარხოსი-ეგზარხოსის კარის ეკლესიაში, ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი-სიონის ტაძარში და გორის ეპისკოპოსი ანტონი-ფერისცვალების მონასტერში.

✦ გუშინ, 18 აგვისტოს, ფერისცვალების მონასტერში ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ, მონასტრის ძმათა თანადასწრებით, გადაიხადა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ **ეგნატე ხრამელაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ გააცნო დამსწრეთ ეგნატეს მოღვაწეობა სამშობლოს წინაშე.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** ახალქალაქის მაზრის სოფელ გორელოს გაემგზავრა, სადაც დაესწრება განმათავისუფლებელ-მეფის ძეგლის კურთხევას.

✦ **პოლიცმეისტერი პოლკ. ზასიპკინი** ტფილისს დაბრუნდა და გუშინდლიდან თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის** მთავარ სამმართველოს ნებართვით, 20 აგვისტოდან ფასდადებული წერილები მიიღება და მარკები გაიყიდება შემდეგს: ბ. პ. ბეჟესაში (ლერმანტოვისა და რტიშჩევის ქ.) და ე. ზ: ზელკინისაში (ოლგას ქ. 29.)

✦ **ეგნატე ხრამელაშვილის გარდაცვალების გამო.** როგორც ვწერდით, 17 აგვისტოს, შუადღისას, ტფილისში გარდაიცვალა ქართველი მოღვაწე ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი. გარდაცვალების დღესვე, საღამოს გადახდილი იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. დასაფლავება მოხდება ორშაბათს, 20 აგვისტოს.

✦ **სასულიერო სემინარიის გამგეობა** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: რადგანაც სასურველია, რომ სემინარიის მოსწავლენი პირველ საპოლიციო უბანში (ვერაზე), სემინარიის მახლობლად ბინადრობდნენ, საჭიროა ამ უბნის სახლის პატრონებმა, ვისაც ჰსურს შეგირდების დაყენება, სემინარიის ინსპექტორს განუცხადონ თავისი სურვილი და ისიც, თუ რამდენი მოწაფის დაყენება შეუძლიანთ.

✦ **პეტრე-პავლეს სასაფლაოზე** (ავლაბარში), სადაც ტუსაღებსა და ღარიბებს უფასოდ მარხავენ ხოლმე, მიცვალებულთათვის ადგილი აღარ არის. ამიტომ სასაფლაოს სამზრუნველოს თავმჯდომარე გუბერნატორს სთხოვს, განკარგულება მოახდინოს, რათა მიცვალებული ტუსაღები დღეის შემდეგ ნავთლუღის სასაფლაოზე დაასაფლაონ ხოლმე.

✦ **დამპალ ციებასთან საბრძოლველი კურსები** ტფილისში იხსნება ხვალ, 20 აგვისტოს.

✦ **კიდევ მეპურენი** 1, 2 და მესამე უბნის სავაჭრო მეთვალყურემ გუშინ ათ მეპურეს შეუდგინა ოქმი პურის ძვირად გაყიდვისთვის.

✦ **მეღვინეობისა და მევენახეობის ტფ. კომიტეტმა** გამოიანგარიშა, რომ 670 ფუთი შაბიამანია საჭირო კახეთში ფილოქსერასთან საბრძოლველად

✦ **სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს** უფროსი ზელენინი ტფილისიდან წავიდა დასასვენებლად.

✦ **მინდვრის თაგვი.** ტფილისის მახლობლად მინდვრებში თაგვი გაჩნდა. ერთი თაგვი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გამოსაკვლელად ტფ. საბოტანიკო ბაღის საენტომოლოგო კაბინეტს გაუგზავნა და თანაც სთხოვა, აცნობოს, რა ღონისძიებით შესაძლებელია ამ თაგვთან ბრძოლა.

✦ ქალაქის საბჭოს მდივანი მ. ა. ჯაბარი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

✦ **მ. გ. პოპოვი,** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის პროკურორი, ტფილისში დაბრუნდა.

✦ **მომავალი სათეატრო სეზონი ტფილისში.** ქართულ დრამატიულ დასის გამგეობა, როგორც ვწერდით, უკვე შეუდგა სამზადისს მომავალ სათეატრო სეზონისათვის. მსახიობთა უმრავლესობა დასში უკვე მიწვეულია და გამგეობასთან ხელშეკრულობა აქვს დადებული. მსახიობქალთაგან დასში მიწვეულნი არიან: ელ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ჯავახიშვილისა, ლოლუა, ქიქოძე და თ. გოგოლაშვილისა. გამგეობას მოლაპარაკება აქვს ნინო ჩხეიძესთანა და ნინო დავითაშვილთან. კაცებიდან მიწვეულნი არიან დასში: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, კ. მესხი, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ვ. მატარაძე, ნ. ციციშვილი, სარაული და სხვანი. გამგეობას მოლაპარაკება აქვს გ. არადელ — იმხნელთან. რეჟისორად მიწვეულია ვალ. შალიკაშვილი, ხოლო სუფლიორად—ბ. ბეგლარიძე. რეპეტიციები დაიწყება პირველს სექტემბერს. სეზონის დაწყება განზრახულია 20 სექტემბრისთვის.

✦ უკვალოდ დაიკარგა ბატარეინაია ქუჩაზე მცხოვრები აქსინია ივანეს ასული სარჩევისა.

✦ ჩვიდმეტ აგვისტოს 53 უპასპორტო შეიპყრეს.

## სასწავლებლებში.

✦ **ვერის პროგიმნაზია** გადაკეთებულ იქმნა ექვს-კლასიან გიმნაზიად. დირექტორად დაინიშნა ლ. ი. ზუბალოვი.

✦ **გიმნასტიკის კურსები.** ამ წლის ბოლოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველოსთან არსდება უფასო კურსები საშუალო სასწავლებლების გიმნასტიკის მასწავლებლებისთვის. კურსებზე 20 სტიპენდია იქნება, თითო ათ თუმნიანი. კურსები გასტანს 1 ნოემბრიდან დეკემბრის ბოლომდე.

✦ **გამოცდა.** დედათა პირველ გიმნაზიაში განმეორებითი გამოცდა 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო მისაღები გამოცდა—25 აგვისტოს.

— დედათა მეორე გიმნაზიაში განმეორებითი და მისაღები გამოცდა 22 აგვისტოს დაიწყება.

— ტფ. პირველ საკომერციო სასწავლებელში გამოცდა 20 აგვისტოს დაიწყება და 26 აგვისტოს გათავდება. მისაღები გამოცდა 1 და 2 კლასში 27 და 28 აგვისტოს იქნება მე-4 და 6 კლასში—განმეორებითი გამოცდის დროს.

— ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მისაღები გამოცდა მოსამზადებელს კლასში დანიშნულია 25 აგვისტოსთვის, ხოლო პირველ კლასში—27 და 28 აგვისტოსთვის.

ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები გამოცდა 16 აგვისტოს დაიწყო. პირველ კლასში 30 ვაკანსიაა. ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში ეგზამენები გუშინ დაიწყო.

## სასამართლო.

✦ **ილია ნაკაშიძის საქმე.** 16 აგვისტოს ტფ. სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ხალხის დაუსწრებლად გაარჩია საქმე ჟურნალისტის ილია ნაკაშიძისა, რომელიც სამართალში იყო მიცემული სისხლის სამართლის მე-132 მუხლის ძალით. ბრალდებოდა ნებადაურთველ ლიტერატურის შენახვა. სასამართლომ ი. პ. ნაკაშიძე დამნაშავედ იცნო და ერთის წლის ციხე მიუსაჯა.

✦ **ნიკო ელიავას საქმე.** ხვალ, 20 აგვისტოს, ტფ. სამოსამართლო პალატა გაარჩევს საქმეს ნაფიც ვექილის ნ. ზ. ელიავასას, რომელიც სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-124 მუხლის ძალით.

## ქუთაისი

✦ პირველი ნოემბრიდან ფოთში ს. ფ. ხოშტარიას რედაქტორობით გამოვა ყოველ-დღიური **რუსული გაზეთი „რიონი“.** გაზეთში სალიტერატურო ნაწილის ხელმძღვანელობას ნ. ნიკოლაძე კისრულობს.

✦ ამა წლის 20 აგვისტოს ქუთაისში სამოსამართლო პალატა გაარჩევს **მ. პ. დარჩიას საქმეს.** მას ბრალდება სხვისი პასპორტით სარგებლობა. დამნაშავეს იცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ლოლაძე.

✦ ქუთაისის ქიმიურმა ლაბორატორიამ აღმოაჩინა, რომ პ. მურუსიძე, ბ. მურუსიძე, ი. იმედაძე, ანთ. წვერავა, სალი-ჯეჯანი, აბრამ კასანდინოვი და ვ. ჩოროდიანცი 3—6 პროცენტამდე ნორმაზე მეტ წყალს ურევენ პურში.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ დაიწყო ხელის მოწერის მიღება **ანასტასია ერისთავი—ხოშტარიას** მოთხრობა—„მოლიპულ გზაზე“— ფ. 1 მან. ამავე წიგნზე ხელის მოწერა მიიღება „იმერეთის“ აგენტებთან: ქიათურაში—ს. შოდაკაძესთან, შორაპანსა და ზესტაფონში—კ. ბუაჩიძესთან, სამტრედიაში - წ. კ. განყოფილების კიოსკში, ფოთში—ი. კოხრეიძესთან, სოხუმში—ნ. ქაჯაიასთან, ბათომში—წიგნის მაღაზია „განთიადში“, ახალ-სენაკში—გაზეთების აგენტს ვარლამ ბაქრაძესთან, რაჭაში, წესში—ვანო ჭიჭინაძესთან და სხვ. კანტორაში გძელდება ხელის-მოწერა ი. ჭავჭავაძის თხზულებაზე. („კოლხ.“)

## სიღნაღი

✦ 15 მარიამობისთვეს აკურთხეს და გაიხსნა ახლად გამოყვანილი **მილის წყალი.**

# † ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი.

ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი დაიბადა 27 იანვარს 1866 წ. პირველად მიაბარეს ქალაქის სასწავლებელში სასტატო ინსტიტუტთან. 1883 წ. გადავიდა სასტატო ინსტიტუტში და დაამთავრა 1887 წ. გათავების შემდეგ, ორი წელიწადი იყო წინამძღვრიანთ კარის სკოლის მასწავლებლად. შემდეგ გადმოვიდა ავლაბრის საქალებო სკოლის მასწავლებლად და იქ მსახურებდა 1903 წლამდე. ამ ხანამდე რკინის გზის სასწავლებლის მასწავლებლადაც მსახურებდა.

შემდეგ წავიდა მოსკოვის მაღალ კომერციულ ინსტიტუტში სასწავლებლად. იქ დაამთავრა 1909 წ. ჩამოვიდა ტფილისში და შევიდა მეორე კომერციულ სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც მასწავლებლობდა უკანასკნელ ხანამდე.

დაწერილი აქვს რუსულად „География Кавказа съ родиноведениемъ“ ქართულად არითმეტიკის კრებული. I ნაწ. და II ნაწ. და არითმეტიკის სახელმძღვანელო. ამას გარდა ადგენდა ქართულად გეომეტრიას, თითქმის ნახევარზე მეტი აქვს დაწერილი დამთავრებას ვერ ეღირსა.

ავადმყოფობდა თითქმის წელიწად ნახევარი. 17 აგვისტოს 3 საათზე გარდაიცვალა. თავისი ნაწერები უანდერძა ქარ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

# † ეგნატე ხრამელაშვილი

(ნეკროლოგის მაგიერი)

„წამებული ხარ, ჩემო ქვეყანავ!..“

ამ ბოლო დროს თითქოს რაღაც შავბედი ყორანი დასჩხავის ჩვენს ისედაც წამებულ მხარეს; რაღაც გრძნეული ძალა, თვისი ბოროტი ხელით, არკვევს და გვაშორებს საუკეთესო მამულიშვილთ, რომელთა ერთი კუბო მისდევს მეორეს და იგი კი ვერაგულად დაგვხარხარებს, როცა გვხედავს ჩვენ ძაძით მოსილთა ვაება-მწუხარებას.. ნათქვამია: „ღმერთს ვინც უყვარს, იმასა სჯისო“, მაგრამ რას ვაქნევ ისრეთ სიყვარულს, თუ თვალში ჩინს გამომილევ და უილაჯობით წელში გამტეხავ! ..

სარაჯიშვილი, ღოღობერიძე, თამარაშვილი, გოგებაშვილი, ხახანაშვილი, მღ. ივ. გვარამაძე, კ. ბაქრაძე და გუშინ, 17 აგვისტოს კიდევ მოსწყდა სამშობლოს დედის ძუძუს ერთი მისი საუკეთესო შვილთაგანი—ეგნატე ხრამელაშვილი, აი, სულ ცოტა ხნის გრძელი სია თავდადებულ შვილთა, მსხვერპლად შეწირული ჩვენი პატარა მხარისაგან... ვინ არ იცნობდა საბრალო ეგნატეს? წყნარი, მშვიდი, მორიდებული, პირნათელი, ფუტკარივით ნაყოფიერი საზოგადო მუშაკი, გამუდმებით თვის გვემულ მხრის ხვედრზედ ფიქრით მოცული... ვიდრე ბოლო დროს მძიმე ავადმყოფობა სარეცელს მიაკრავდა, განა კი იყო იმისთანა საზოგადო საქმე, რომ იმას თვისი წვლილი არ შეეტანა, თვისი მადლიანი, გულწრფელი ხმა არ მიეწვდინა?! ვინც იმას ახლოს იცნობდა დაგვიმოწმებს, რომ იმას ძალიან ხშირად ავიწყდებოდა, ოჯახიც, თავის-თავზედ მზრუნველობაც და ასულდგმულებდა, აღფრთოვანებდა საზოგადოებისთვის შრომის ხალისი. ჩვენ არა ერთხელ მოწმენი ვიყავით, როცა იმას მახლობელნი უსაყვედურებდნენ ხოლმე: „კაცო, ოჯახი თუ აღარ გახსოვს, ეს ერთი ლუკმა პური თავის დროზედ შეჭამე მაინცაო“... ყოვლად შეუძლებელი იყო ეგნატე სახლში გაგეჩერებინათ და ის არ დასწრებოდა, თუ სამე საზოგადო კრება იყო და სწუხდა ხოლმე თუ ერთსა და იმავე დროს რამდენსამე ადგილას იყო ხოლმე დანიშნული კრება და ყოველგან არ უხდებოდა დასწრება. ბოლო ხანებში, როცა კითხვის ილაჯიც დაეკარგა, მახლობელთ მაინც უეჭველად ყოველ დღე გადააკითხებდა ჟურნალ-გაზეთებს, მაშინ თითქმის სრულიად ავიწყდებოდა თავისი მძიმე ავადმყოფობა, გაფაციცებით ყურს უგდებდა, ღელავდა და შფოთავდა, როცა ისმენდა ჩვენი ქვეყნის სამწუხარო ამბებს. ამ რამდენიმე დღის წინედ კიდევ ვინახულე ეს დაუვიწყარი ადამიანი: იგი აჩრდილს და წარმოადგენდა თვის პირველ სახისას, სიკვდილის ფერი ედო, გვამი მთლად გასიებოდა (კუს ავადმყოფობით გარდაიცვალა). ნახვისთანავე, აღარც კი დამალვა იმის მდგომარეობის გამოკითხვა, თავისი თავი თითქოს აღარ ახსოვდა და არ აფიქრებდა უკვე დათვლილი დღეები და დიდხანს, სვენებ-სვენებით მაბარებდა: „კაცო, როგორმე ხმა მიაწვდინეთ, რომ, როგორც გოგებაშვილის სახელობაზედ დაარსებული ფონდი, აგრეთვე ხახანაშვილის მიერ დატოვებული და სხვაც კიდევ უნდა შეერთდეს და უნდა დაარსდეს ერთი ქართული სასტატო სემინარია, რადგანაც ჩვენ არა გვყავს ღირსეული სახალხო მასწავლებლები ამიტომაც ღირსეულ სიმაღლეზედ ვე"ა დგანან ჩვენში სახალხო სკოლებიო. მე ამაზედ პრესაში უკვე წამოვაყენე მოკლე გეგმისებური მოსაზრება და, ცოტათი თუ მოვღონიერდი, ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს კიდევ უფრო ვრცლად შევეხებიო“. ბოლოს შემომჩივლა: „გუშინ ყველანი სახლიდხან გაიკრიფნენ საქმეზედ ნახევარ საათით, მარტო დავრჩი, გადავწვდი გაზეთს და დავიწყე ხახანაშვილის გარდაცვალებაზედ წერილ. კითხვა: მე და ის მეგობრებიც ვიყავით და ერთსა და იმავე წელს დაბადებულნიც. წერილის კითხვა ვერ გავათავე, ამივარდა ტირილი და, რაც ჩემ დღეში არ განმიცდია, გალიუცინაციაც დამემართა: აშკარად მესმოდა, რომ ხახანაშვილი მეძახოდაო“..

როგორც განსვენებული ხახანაშვილი, საბრალო ეგნატეც თითქოს გრძნობდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა და გამუდმებულ შრომაში იყო გაბმული: რაც კი მასწავლებლობიდან თავისუფალი დრო რჩებოდა და, თუ კრებებში არსად იღებდა მონაწილეობას, ერთავად მისჯდომოდა მაგიდას და ან თავის მიერ შედგენილს სახელმძღვანელოებს ასწორებდა, ან რამე ახალ შრომას იწყებდა.

განსვენებული ეგნატე 46 წლამდე იყო მიხწეული, მაგრამ სიცოცხლით და ენერგიით სავსე, ჭაბუკურის აღფრთოვანებით, და გატაცებით შემკობილი. ის ვერ დააძაბუნა ოჯახმა, ვერ შეაყენა ორმოც წელს გადასულობამაც და ცოდნის გასაფართოებლად, ამ რამდენიმე წლის წინად, მიატოვა სამსახურს თავი, წავიდა მოსკოვში, სადაც დაამთავრა უმაღლესი კომერციული ინსტიტუტი. კერძო ცხოვრებაში ხომ ანდამატივით მიმზიდველი ადამიანი იყო: ტკბილი მოსაუბრე, ჭირის და ლხინის გამზიარებელი. ეგნატესთანა პირები რომ არ არსებობდნენ, რაღა გაახალისებდა, გაახცხოველებდა და გაალამაზებდა ყოველ დღიურ ჩვენ ერთფეროვან მესჩანურ ყოფას!?..

ეგნატე ხრამელაშვილმავე პირველად გამოსცა ჩვენი „სახალხო გაზეთი“ და მიზნად ჰქონდა, რომ იგი, როგორც შინაარსით, ეგრეთვე ფასითაც (უწინ 2 კაპ. ღირდა ნუმერი) ხელმისაწდომი ყოფილიყო მდაბიო, ხელმოკლე მკითხველისათვის, მაგრამ უსახსრობის გამო ცოტა ხნის შემდეგ იძულებული იყო გაზეთი გადეეცა, თუმცა მუდამ ოცნებობდა, რომ ახლო მომავალში იაფ ფასიან გაზეთს ისევ აღორძინებდა.

მოკლედ და გადუჭარბებლად რომა ვსთქვათ, ეგნატე ხრამელაშვილი არ იყო ძალიან დიდი მოღვაწე მაგრამ, რაც კი ძალ-ღონე შესწევდა, იგი თავის თავს დაუზოგველად და გულწრფელად შრომობდა საზოგადო ასპარეზზედ და სულით და გულით იზიარებდა თავის მხარის ავსა და კარგსა.

მშვიდათ განისვენე დაუვიწყარო, კეთილო მეგობარო, ეგნატე: შენი სათაყვანებელი მშობლიური მიწა, ნიშნად მადლობისა, მაგრად ჩაგიკრავს გულში.

**გ. ახალციხელი.**

# ქუთაისის აჰ-კარგი.

ერთი გულ-წრფელი და დაუღალავი მოღვაწე მოაკლდა ქუთაისის საზოგადოებას. გარდაიცვალა კოტე ბაქრაძე თავის ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი. ვერ ნახავთ ქუთაისში ისეთ კაცს, (თითო ოროლა გადაგვარებულის გარდა), რომელიც გულის სიღრმემდე არ სწუხდეს კოტეს გარდაცვალებას. ამ მწუხარებას ის უფრო აორკეცებს, რომ მისი სიკვდილი გამოწვეულია ჩვენისავე საზოგადოების ველურობითა და უკულტურობით.

მას აქეთ, რაც ამ ორი-კვირის წინად კოტეს ყოველის მხრივ დასაგმობი შეურაცხყოფა მიაყენა ვინმე მებურიშვილმა, იგი სულ უქეიფობდა, თუმცა განსვენებული გულს არ იტეხდა და სამსახურში დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმები ამას უშლიდნენ. სიკვდილის 5—6 დღის წინად, ავადმყოფობა გართულდა, მარცხენა მხარის სიდამბლე მოუვიდა და სამი დღის აუტანელი ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

ექიმების სიტყვით პირდაპირი მიზეზი კოტეს ავადმყოფობის გართულებისა და შემდეგ სიკვდილისა ის ჭრილობაა, რომელიც მას დარჩა მებურიშვილის ველური მოქმედებით. დღეს მას გასჭრიან და მაშინ დანამდვილებით გამოირკვევა ეს გარემოება.

მანამდის-კი მოგვყავს ცნობები კოტე ბაქრაძის ცხოვრების შესახებ. იგი ეხლა 56 წლის კაცი იყო. სწავლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში. შემდეგ წავიდა პეტერბურგს, საცა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა, როდესაც რუსეთის საერთო მოძრაობაში ჩაერია. რასაკვირველია ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს. დაანება რუსეთს თავი და საზღვარგარედ გადაიხვეწა. აქ კარგა ხანს დაჰყო და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ემიგრანტთა წრეების მოქმედებაში. ამავე დროს შეუდგა ქიმიის შესწავლას და გამოჩენილი ქიმიკოსის ფრემის საქიმიო კურსები დაამთავრა და ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ ფრემიმ წინადადება მისცა ალჟირში წასასვლელად კარგის პირობებით. კოტემ ისევ სამშობლოში დაბრუნება არჩია და ოთხმოციანი წლების დასაწყისში იგი ქუთაისში დაბინავდა. მას აქეთ კოტე ქუთაისში ტრიალებს. არ არის ისეთი საქმე საზოგადო და კულტურული რომ კოტეს გულმხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. უკოტეოთ ქუთაისში არაფერი კეთდებოდა, ყველგან კოტე იყო საჭირო და როცა 2—3 წელს ქუთაისში არა სცხოვრობდა, ყველამ აშკარად დაინახა, რომ იგი ღერძი იყო ყოველ საზოგადო საქმისა. თეატრის დაარსება და მისი განმტკიცება ქუთაისში, ქალაქის თვითმმართველობის საქმეები, ბანკები, შავი-ქვის მრეწველობა და სხვ. ყველგან კოტეს მონაწილეობა ხედავდა და ამიტომაც იყო, რომ კოტეს მასთან დაახლოვებული ინტელიგენტური წრეები დიდ აფასებდნენ თავისი დაუღალავი და უანგარო შრომისათვის და ეს იმ დროს, როცა კოტეს არას დროს არ ამოქმედებდა პირადი ინტერესი ან სარგებლობა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ კოტე არაჩვეულებრივი პირდაპირი და თავდაბალი კაცი იყო.

რეაქციის გამეფების ახალ ხანებში კოტე ბაქრაძე ქალაქის გამგეობის წევრად აირჩიეს. აქაც ჩვეულებრივი ენერგია და გულწრფელობა შეიტანა საქმეში; კარგად ჰხედავდა, რომ ქუთაისის პირველი საჭიროება წყლის გამოყვანა და ქუჩების მოკირწყვლა იყო. და ამ მხრით ქუთაისს კოტემ დიდი ამაგი დასდო.

დაუღალავმა გამუდმებულმა შრომამ კოტეს აგებულობა დაასუსტა, გარდა ამისა შარშან ერთად ერთი მოსწრებული ქალი დამარხა. ყოველივე ამან თავისი გავლენა იქონია და უკანასკნელმა ინციდენტმა ხომ ბოლო მოუღო მას.

# ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა.

შაბათს, 11 აგვისტოს, ამ თხზულებათა გამოცემის სარედაქციო კომისიას მეტად საყურადღებო კრება ჰქონდა. კრებაზედ, სხვათა შორის, მოწვეული ყოფილან ბეჭდვითი ტეხნიკის მცოდნე პირნი: კონსტ. მესხი (ლიტოგრაფი), დავ. მაჭავარიანი (ქართვ. ამხ. წარმომადგენელი) და სხვ. კრებას საბოლოოდ გადაუწყვეტია კითხვები წიგნის ფორმატის და ზომის შესახებ, ასოთავრულებისა, ქაღალდის ღირსებისა და კლიშეებფოტოტიპების შესახებ.

ლაპარაკი იყო აგრეთვე, სხვათა შორის, შრიფტის თაობაზე. წარმოითქვა სურვილი, რომ, რადგანაც ეს გამოცემა საგანგებოა და დიდძალი ფულიც იხარჯება, ბარემ შრიფტიც სულ ახალი იყოს, უფრო გაუმჯობესებული, ვიდრე ეხლაა ხმარებაში, თუ რასაკვირველია, ბევრ დროსა და ფულს არ გამოიწვევს. ამ საკითხზე საბოლოოდ ლაპარაკი იქნება კიდევ ამ დღეებში, როდესაც ბ. ივ. ჯავახიშვილი წარმოადგენს პატარა მოხსენებას დ გათვალისწინებული იქნება დრო და ხარჯები, რომელიც ახალ შრიფტის შემუშავებასა და დამზადებას დასჭირდება.

რადგანაც კომისიას ჰსურს წიგნის გამოსვლა რაც შეიძლება დააჩქაროს, ამიტომ დაადგინა ყოველი ზომა იხმაროს, რომ საჭირო მასალები და აგრეთვე ის წერილები, რომელიც პირველ ტომში უნდა მოთავსდნენ (ბიოგრაფია, კრიტიკული განხილვა) პირველ სექტემბრისთვის უსათუოდ დამზადდეს, მეტადრე ბიოგრაფია, რომელიც უფრო პასუხსაგები საქმეა. უკვე შეგროვილია დაუბეჭდავი ლექსები, დაუმთავრებელი მოთხრობები განსვენებულ დიდებულ მგოსნისა. კომისიაში უკვე წარდგენილია ჩვენი ცნობილ პუბლიცისტის, არჩილ ჯორჯაძის შრომა ილიას პუბლიცისტურ მოღვაწეობის შესახებ, ახლად დაწერილი ამ საგანგებო გამოცემისთვის. მიუღია კომისიას აგრეთვე შრომა სამსონ დადიანისა შესახებ საზოგადოებრივ მოტივებისა ილია ჭავჭავაძის პოეზიაში.

მოხსენდა აგრეთვე კომისიას, რომ ამ დღეებში მიღებულ იქმნება გამოცემისთვის დამზადებული წერილი მეორე ახალგაზდა მწერლის გერონტი ქიქოძისა (კრიტიკული განხილვა) მოკლე ხანში მოელიან აგრეთვე კიტა აბაშიძის წერილსა. ყველა ეს წერილები განხილულ იქნება კომისიის მიერ და, მოწონებისამებრ, მოთავსდება გამოცემაში.

სხვათა შორის კომისიამ გასინჯა ილიას სურათები სხვადასხვა დროს გადაღებული ახალგაზდობის და სტუდენტობის დროისაც, აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები, გადაღებული ყვარელში საგანგებოდ გაგზავნილ ფოტოგრაფის მიერ „კუდი გორა“, „კუის წყარო“ ილიას კარმიდამო, „კოშკი“, მარანი, წისქვილი დ აგრეთვე სურათი ილიას ოჯახის გამდლისა, სალომე ლოლაძისა. კომისია მეტად კმაყოფილი დარჩა სურათებით.—ბოლოს გამომცემელმა კომისიას გააცნო ხელის მოწერის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ხელის მოწერა უფრო კარგად მიდის ვიდრე თითონ ფიქრობდა,

როდესაც გამოცემას იწყობდა და ამიტომ თუ შემდეგშიც ასე წავიდა მაშინ მას შესაძლებლად მიაჩნია უფრო მეტი ხარჯი გასწიოს, რომ უფრო ძვირფასი გამოცემა გამოვიდეს.

## კონცერტები სოფლად.

თავ. ნ. თავდგირიძისა და ბ. ძ. ლოლუას მომღერალთა გუნდისა.

ამას წინად ვწერდით გუნდმა მუშაობა შეაჩერა-მეთქი, მაგრამ ბ. ძ. ლოლუას მეცადინეობით გუნდმა შესძლო მუშაობის გაგრძელება.

16 ივლისს ამ გუნდმა კონცერტი გამართა დაბა ოჩემჩირეში. კონცერტმა ძლიერ კარგად ჩაიარა, და აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. ტაშის ცემასა და ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ბევრი სიმღერები ოროლ-სამ-სამჯერ გაამეორებინეს გუნდსა.

კონცერტის მეორე განყოფილების წინ ბ. ი. კორტმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ჩვენს ეროვნულ მუსიკაზე, მის მნიშვნელობაზე და აგრეთვე ამ ახალ მომღერალთა გუნდზე. საზოგადოება აღტაცებით შეეგება ამ სიტყვას. ბოლოს საზოგადოების მოწინავე ნაწილმა და ინტელიგენტებმა მადლობა გადაუხადეს გუნდსა და სთხოვეს სხვა დროსაც სწვეოდნენ დაბას.

30 ივლის გუნდმა კონცერტი გამართა ქ. სოხუმში.

კონცერტმა ძლიერ ბევრი ხალხი მოიზიდა. კარგა მოზრდილი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ქ. სოხუ საზაფხულო კურორტია, სადაც მრავლად ცხოვრობენ რუსები და საზღვარ-გარეთლები ზაფხულობით, ამიტომ კონცერტზე დამსწრე საზოგადოების დიდ უმრავლესობასაც ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ფარდა აიწია და გუნდი გამოჩნდა ეროვნული ტანსაცმელებით გამოწყობილი.

გუნდმა საუცხოვოდ დააგუგუნა „ალსდეგ გმირთ-გმირო“. მთელი დარბაზი სმენად გადაიქცა. დასრულდა სიმღერა. მთელი დარბაზი აღტაცებაში მოვიდა. ტაშის ცემას, „ვაშა“ გაიმეორეთ“-ს ძახილს საზღვარი არა აქვს. გუნდმა სიმღერა გაიმეორა. სიმღერების უმრავლესობა მრავალჯერ გაამეორებინეს გუნდს. ყველა განყოფილების დასასრულს ნამდვილი ოვაციები იმართებოდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპიელებზე ჩვენმა სიმღერებმა და ცეკვა-თამაშმაც.

იმ დღესა და მეორე დღეს ინტელიგენციისა და მოწინავე ევროპიელების ლაპარაკის საგანი მხოლოდ ქართული მუსიკის სიმდიდრე, მისი საუცხოვო შეწყობილება, მრავალფეროვანება და ‚ეპირატესობა იყო.

კონცერტს, სხვათა შორის დაესწრენ სამხატვრო თეატრის სოლისტი ბ. ხ—ი თავისი მეუღლით და საიმპერატორო თეატრის სკრიპკის დამკვრელი ბ. მ. კ—ჩი, რომელნიც აღტაცებაში მოვიდნენ. ანტრაქტის დროს ავიდნენ სცენაზე გაეცნენ გუნდის ლოტბარ ბ. ძ. ლოლუას და აღიარეს: „თქვენი ეროვნული მუსიკა უმდიდრესი და უმაღლესობამდის განვითარებული ყოფილა, დიდად საჭიროა მისი გამოკვლევა და შესწავლა. თქვენი მიზანი სანაქებოაო და სხვა“. უსურვეს გუნდსა და მის ხელმძღვანელებს გამარჯვება, მადლობა გადაიხადეს უდიდესი სიამოვნებისათვის და სურვილი გამოსთქვეს კონცერტის განმეორებისა.

მეორე დღეს ქალაქის მოურავის მოადგილის ბ. ქ. მელიას, ბ. ბ. ხოშტარიას, ბ. ბ. ჯორჯიკაიასა და სხვათა მეთაურობით ქალაქს პარკში ბ. ლოლუასა და მთელ შემადგენლობას გაუმართეს დიდებული ნადიმი, რომელსაც ორმოცამდის კაცი დაესწრო. წარმოითქვა მრავალი მხურვალე სიტყვები. დეპეშა გაეგზავნა თავ. თავდგირიძეს ქ. სოხუმში. განძრახულია კონცერტების გამართვა სხვა დაბა ქალაქებშიაც. ჩვენის მხრივ ვუსურვებთ გუნდს გამარჯვებას. **ისარი.**

## ძმათა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია.

ძმებმა ზუბალაშვილებმა 1912 წელს ასი თუმნით შეამცირეს სასტიპენდიო თანხა და ამ წლის იანვრიდან სასტიპენდიოთ დანიშნეს 5,000 მანეთი წელიწადში, ნაცვლად წინანდელის 6,000 მანეთისა. ფული შემცირდა, სტიპენდიების რიცხვი კი წინანდელი დარჩა, 20, რადგან გამგეობამ უხერხულად დაინახა იანვარშივე მოსპობოდა სტიპენდია ისეთებს, ვისაც წელს უნდა დაესრულებინა კურსი. ასე რომ წერა-კითხვის საზოგადოება ჰხარჯავდა იმაზე მეტს, რასაც სასტიპენდიოდ ღებულობდა, თვიურად რომ ვიანგარიშოთ. ამ ზაფხულიდან 4 პირს სტიპენდია მოესპო და, რადგანაც შემოსავალს ხარჯი სჭარბობს, ახალი სტიპენდიების დანიშვნა ზუბალაშვილების სახელობისა აღარ მოხდება მომავალ წლამდე.

## მოწერილი ამბები

**აგარაკი ურაველი** (ახალც. მხარე). ფერისცვალების დღიდან ისეთი მწარე და სუსხიანი დღეები დაიჭირა, რო არამც თუ თბილი ტანისამოსით შემოსა მოაგარაკენი, არამედ ქათმებიც აბუზა და ჩირგვებში მყუდრო ადგილები მონახვინა შესათბუნებლადა. ნაადრევმა სიცივეებმა ერთობ ცუდად იმოქმედა მცხოვრებლებზე. სიცხით ავადმყოფობა გახშირდა საზაფხულოდ მოსულ ხალხში და რადგანაც ექიმსა და წამალს მოკლებულია აქაურობა, შეშინებული მოაგარაკენი ვეღარ სდგებიან და მოეშურებიან თავიანთ კერისაკენ. წარმოიდგინეთ, წრევანდელს საზაფხულო სეზონში 10 დღეც კი ვერა ნახეს სასიამოვნოდ მოაგარაკეებმა გამუდმებული წვიმებისა და უკანასკნელი ნაადრევი შემოდგომის სიცივეებისა გამო.

აქეთკენ კალოები ახლა შეება.

**მესხი ქ. გვარამაძე.**

**სოფ. დიმში.** (ქუთაის. მაზრა) ქ. შ. წ. კ. ს. განყოფილების სახელზე გაიხსნა უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო. ვინაიდან ამ ახალ დაწესებულებას დახმარება სჭირდება, გამგეობა სამკითხველოსი სთხოვს საზოგადოებას დახმარება გაუწიოს, წვრილად ჩაწერით ფულით, ან რაიმე ნივთიერ შემოწირულებით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ წლიური საწევრო ფული დადგენილია ერთი მანეთი (1 მ.). ყოველ ნაირი შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით.

**ქუთაისი.** ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთს“ ღიმის ბიბლიოთეკის მზრუნველს გენერალ-მაიორ მიხეილ საჩინოს ძე ჩხეიძეს ბიბლიოთეკისათვის.

გამგეობის მონდობილობით. გამგეობის თავმჯდომარე

**კოლა კიკნაძე.**

P. S. გთხოვთ თფილისის და ქუთაისის გაზეთებს გადაბეჭდოთ.

## მოგზაურობა სოფლად

(გაგრძელება *)

მე-3 საათი იყო. სუფრიდან ავიშალენით. გადავიღეთ რამდენიმე სურათი. გამოვემშვიდობეთ მასპინძელთ, რომელთაც სამგზავროდ სანოვაგე ბლომად შეემზადებინათ ჩვენთვის. ყოველ შემთხვევისათვის გავიძღოლეთ ურემი წინ (რომ არავინ დავარდნილიყო) და სიმღერით გავედით შრომის სამეფოდან. გავიარეთ კნოლევი, ოქონა, სუნისი. სოფლები პატარაა, ერთი ერმანეთზე რამდენიმე ვერსით დაშორებული, შენობები ფიცრულისა, რადგან ქვაზე ტყე უფრო უხვია აქეთ. ნათესი მოსჩანს უფრო სიმინდი, საკმაოდ მაღალი, ლამაზად ქოჩორ დაყრილი, ხშირი. **სუნისს** იქით მარცხნით მაღლობზედ გამოჩნდა დიდი, ძველი ეკლესია. ეს-სოფელი **თიღვაა.** თიღვის ეკლესია ერთი ძველი ნაშთთაგანია, ამას გარდა გაგონილი გვქონდა აქაურ მღვდელზე—წირვა-ლოცვას სლავიანურად ასრულებსო, ყველა ამის გამო გადავწყვიტეთ თიღვას ვწვევოდით. მეურმეს დაუბარეთ წინ და წინ შეეცადნა, ჩვენ კი შევუდექით აღმართს. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე სოფელში ვიყავით.

გზაში ერთი გლეხი შემოგვხვდა მოხუცებული.

— ბრძია, წირვა-ლოცვა ხომ ქართულად არის თქვენს საყდარში?— შეეკითხა ერთი ჩვენთაგანი. გლეხი დაიბნა, ეჭვის თვალით შემოგვხედა.

— ჰო... ჰო... ქართულად...

— ამბობენ სხვა ენაზედაც არის ხოლმეო...

— ჰო... ისე... ხანდიხან, შენი ჭირიმე... სხვა რჯულზე სწირავს ხოლმე...

მივედით ეკლესიის გალავანში, გამოვიდა მღვდელი ათაევი (ოსია). მივესალმეთ, ვთხოვეთ ეკლესია გაეღო, დაეთვალიერებინებინა. ეკლესია, მღვდ. ათაევის სიტყვით, მეთორმეტე საუკუნის დასაწყისშია აგებული დავით აღმაშენებლის დროს. დავითის ქალი თამარი ოსმალეთის ხონთქარს გაუტაცნია ჰარამხანაში. თამარი ბოლოს სამშობლოში დაბრუნებულა და რომ ცოდვები მოენანიებინა, აქ თიღვაში, აუშენებია ქალთა მონასტერი და თვითონაც აქვე აღკვეცილა მონაზონად. საკანები ეკლესიას ჰქონია მიდგმული, მაგრამ შემდეგ მტერს გაუნადგურებია და მთელი მონასტერი ცეცხლისთვის მიუცია, რის კვალიც ეხლაც ნათლად ამჩნევია ეკლესიის კედლებს. ჩრდილო-სამხრეთით ფანჯრების ქუდები და კარებები მშვენიერ ჩუქურთმას წარმოადგენენ. ჩრდილოეთის ფანჯრის თავზევე ასოთმთავრული ხუცური წარწერაა, სადაც ნაჩვენებია მონასტრის მამულების საზღვრები.

ეკლესია დიდია, სიონის გეგმაზე აგებული მშვენიერი მხვილი, თლილი ქვით. დახურულია თუნუქით, გუმბათი კი ყავრით. შიგნით ეკლესია წარმოადგენს ორ სართულს. დასავლეთ-ჩრდილო-სამხრეთით ქვის აივანია მშვენიერი, ვეება თლილი კლდის სვეტებით. კანკელის მარჯვნივ მოთავსებულია სადიაკვნე, მარცხნით—სამკვეთრო. სადიაკვნე—სამკვეთროს თავზე დატანებულია ფარული ოთახები თითო პატარა, მრგვალი სარკმელით. ალბად აქ აფარებდნენ თავს მღვდელ-მთავარნი შიშიანობის დროს. კედლები, კამარა ეკლესიისა ზოგან ჩამორეცხილია, ზოგან კირით გალესილი და ამგვარად განადგურებისათვის მიუციათ ძვირფასი ძველი მხატვრობა. ეტყობა მხოლოდ ერთი ანგელოზის თავი ფრთებით: ასეთი „სამსახური“ ეკლესიისათვის გაუწევია, როგორც მღვდელმა ათაევმა გადმოგვცა, მის წინაპარს მღვდელს ზედგინიძეს, რომელიც ამჟამად ახალციხეში იმყოფება ბლაღოჩინად. დასავლეთით ტაძარი 1—1½ არშინზე დაუხურავია და წვიმა თავისუფლად ჩამოდის, კედლებიც ზოგან ჩამონგრეულია და, თუ დროზე არ მიაქციეს ყურადღება, განადგურებას მიეცემა ეს ძვირფასი, უტყვი მოწამე ჩვენის დიდ წარსულისა. სჩანს თავიდანვე უპატრონოდ ყოფილა ტაძარი მიტოვებული. 1888 წ. მთელს რუსეთში მოუგროვებიათ ფული მის გასამშვენიერებლად, მაგრამ... იმავ ზედგინიძის მიერ წიგნებში მხოლოდ 9000 მან. ნაჩვენები, როდესაც ფული ერთი ორად იქნებოდაო, დასძინა მღვდ. ათაევმა. ამას გარდა ამავე მიზნით მრევლში თითო სულს შეაწერეს ხუთი მან., წიგნებში კი ზედგინიძეს რაღაც 60 მან. და რამდენიმე კაპეიკი აქვს ნაჩვენებიო. საკვირველია ღმერთმანი ასეთი უპატრონობა!!. დეე თუნდ მხოლოდ 9000 მ. ყოფილიყო. ნუ თუ ეს ამოდენა ზღვა ფული ეკლესიის კედლების მიწითა და კირით გალესვაში შთაინთქა? სხვა რა გაუკეთებიათ ახალი?...

— რამდენი კომლი იქნება თიღვაში? ჰკითხა ერთმა.

— ოთხმოცი, მიუგო ათაევმა.

— ქართველებია სულა?

— უმრავლესობა ქართველია, მცირე ნაწილი კი ოსი.

— მღვთის მსახურება ქართულადა სწარმოებს?

— ქართულად, ქართულად...

— ოსები რომ არიან?

— ოსები ყველანი გაქართველებული არიან,—ჩაგვირუსულა მღვდ. ათაევმა თითქოს წყენით.

თიღვაში სკოლაცა ყოფილა. მას, წავლებლობდა თურმე მისი შვილი, ეხლა კი, როგორც გავიგეთ, სხვა დაუნიშნავთ. გალავნის ძირში გამოდის მშვენიერი ყინულივით წყარო. პატარა გავიგრილეთ გული, დავეშვით ისევ ქვევით, როგორც იქნა ვიპოვეთ ურემი და გზას გავუდექით. გავუარეთ ძირს ს. ძალისას, რომელიც წინად ქალაქი ყოფილა და მადნეულობაც აღმოუჩენიათ. სულით და გულით გვინდოდა ნახვა, მაგრამ ღამდებოდა. გავიარეთ **თერგვანი, ციხიანი.** აქ ტყე-ღრე, აღმართ-აღმართ მოგვიხდა სიარული, ზოგან ურემსაც ჩვენვე ვეზიდებოდით. საკმაოდ მოვიქანცენით. ციხიათიდან კი ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ. გზა კარგია, დაღმართი. ერთი მეორეზე საუცხოვო სურათი გეშლებათ თვალწინ, როცა აქედან გადახედავთ დაბლობს. ძირს, მთის კალთები შემოსილია მწვანე ბუჩქნარით, თითქოს ერთი მთლიანი ნოხი გაუშლიათო, შუაში დარაჯებივით ჩამწკრივებული ყანის ჯაურები, აქეთ იქით კი ცაში ამაყად აზიდული მთები უღრან ტყით მოსილი, დაბურული, ვიწრო ხეობები, ერთი მეორეზე ჯადოსნური, ტურფა.

**სოფ. ბეყმარაში** პატარა შევისვენეთ, შევნაყრდით, მრავალი სადღეგრძელო ვუძღვნით ჩვენს მასპინძელს ბ. ამირეჯიბს. დაგვიბინდდა კიდეც. ჩავიარეთ **მალდა, არკნეთი, ნული.** ყველა ეს სოფლები ერთმანეთზე ახლოა, პატარა მოსახლეობა ოსობაა. ქართულს მშვენივრად ლაპარაკობენ. მისდევენ ხვნა-თესვას, მესაქონლეობას. მევენახეობის ნასახიც არსადა სჩანს. სახლები აქვთ ფიცრულისა, ჰდეული, გარედან ტალახით გალესილი.

შემდეგი იქნება

**სანგანიძე.**

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 675.

## მოძრაობა ფლოტზე

შავის ზღვის ფლოტზე მომხდარ ამბების გამოსარკვევად, როგორც „უტრ. როს“-ას ატყობინებენ, სევასტოპოლში წასულან შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი და საზღვაო შტაბის უფროსი ადმირალი კნიაზევი. შავი ზღვის გემებთან სამასამდე მატროსი ნაპირზე გადაუყვანიათ, რადგანაც მათში არა საიმედო ელემენტი აღმოუჩენიათ. საზღვაო სამინისტროში დაადასტურეს, მართალია, ფლოტზე არა საიმედო მატროსები იყვნენ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. მატროსებიც გემებიდან ნაპირზე მხოლოდ იმიტომ გადაიყვანეს, რომ წინდაწინვე მოესპოთ ნიადაგი მოძრაობისთვისაო. ჯერ არ იციან, ყველას მისცემენ სამართალში, თუ მხოლოდ ზოგიერთებს.

კრონშტადტის საზღვაო-სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე მატროსის ტარასოვისა. მატროსი თავის ნებით წასულა გემიდან. საღამოთი აფიცერს შეუნიშნავს, რატომ სალამი არ მომეციო. ტარასოვს უპასუხნია, მე აფიცრებს სალამს არ მივცემო. „ეხლა ძველი დრო არ არის, ეხლა მეთორმეტე წელიწადიაო“. სასამართლოში ტარასოვმა თავისი თავი დამნაშავედ იცნო. გასამართლებელ საბუთად ის მოიყვანა, რომ მთვრალი ვიყავიო. სასამართლომ 2 ნახ. წლით გამასწორებელ ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯა.

## საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში.

ბელგიაში უკანასკნელ არჩევნებზე, მთავრობის ძლიერის ზედგავლენით, კლერიკალთა პარტიამ გაიმარჯვა. მუშათა პარტიის წრეებში ამ გამარჯვებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გადასწყვიტეს ამ გამარჯვებისთვის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით ეპასუხნათ. ბელგიის ერთ ბურჟუაზიულ გაზეთის თანამშრომელს საქარხნო რაიონები დაუვლია, პირადად უბაასნია მუშებსა, ინჟენრებთან და ეხლა თავის შთაბეჭდილებას მკითხველებს აცნობს. „ბრიუსელიდან რომ მივდიოდი, — სწერს იგი,—დარწმუნებული ვიყავი, რომ ხმები გაფიცვის შესახებ მხოლოდ ტაქტიკური ქამანდია. როდესაც საქარხნო რაიონები შემოვიარე, დავრწმუნდი, რომ საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. მუშები პირველ მოწოდებისთანავე მუშაობაზე ხელს აიღებენ. ისინი სერიოზულად ემზადებიან გაფიცვისთვის. კოოპერატიულ ამხანაგობებს ჯერ უნდოდათ მუშათა მოძრაობა, მაგრამ, რაკი დაინახეს, რომ ცდა ნაყოფს ვერ გამოიტანდა, დააწესეს განსაკუთრებული მარკები. მუშებს შეუძლიათ ეხლავე შეიძინონ ეს მარკები და გაფიცვის დროს ფულის მაგიერად ის წარუდგინონ ხოლმე მომხმარებელ კოოპერატიულ ამხანაგობებს.

ამნაირის წესით, როგორც ზემოხსენებული მწერალი ამოწმებს, მუშებს უკვე დიდი თანხა შეუგროვებიათ. მუშებს რევოლუცია არა სწადიანთ. ისინი მისდევენ მშვიდობიან დემონსტრაციებს და მოითხოვენ საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას“.

## ჩინეთის რესპუბლიკა.

ერთხანად ჩინეთში თითქოს მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ მალე კვლავ აიწეწა საქმეები. იუანშიკაი, ორპირი დიპლომატი, გარკვევით არც რესპუბლიკას ემსახურება და არც ძველს წეს-წყობილებას.

რესპუბლიკანელი გუბერნატორები იუანშიკაიმ გადააყენა, ან განდევნა და დანიშნა თავისი მომხრე გენერლები. ჩინეთიდან გაზეთებს არეულდარეული ცნობები მოსდის. ერთხანად ხმა გავრცელდა, სუნიათსენი, ცნობილი რესპუბლიკანელი, მოჰკლესო, მაგრამ, როგორც უკანასკნელ დეპეშებიდანა სჩანს, იგი ცოცხალია და მოქმედობს. ამ უკანასკნელ დროს, მაგალითად, იუანშიკაისა და სუნიათსენს მოლაპარაკება ჰქონიათ. იუანშიკაი დათანხმებულა სამართალში არ მისცეს პრემიერ-მინისტრი ლუჩჟესიანი. ამას გარდა, სუნიათსენსა და იუანშიკაის მოლაპარაკება ჰქონიათ ამერიკელ ინჟენრებსა და კაპიტალისტებთან. აზრათა აქვთ, მათის დახმარებით მრავალი რკინის გზა გაიყვანონ ჩინეთში და ამ მხრივაც ცენტრი განაპირა ადგილებს დაუკავშირონ. პროექტით, ათის წლის შემდეგ ჩინეთი რკინის გზებით უნდა იყოს მოფენილი. სუნიათსენს დაუარსებია ახალი პარტია ნაციონალისტებისა. ორი მესამედი ნაციონალურ კრების წევრებისა ამ პარტიაში შედის. ახალი პარტიის დაარსებით სუნიათსენსა ჰსურს შეთანხმება დაამკვიდროს ჩინეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნაწილთა შორის.

## სხვა და სხვა ამბავი

**ოსმალელი ქალი.**

გერმანელი მწერალი ქალი დოროტეა შუმახერი ერთს გაზეთში ახასიათებს დღევანდელ ოსმალელ ქალს, რომლის შესახებაც ყალბი ცნობებია გავრცელებული ევროპაში.

მაჰმადიანი ქალები საზოგადოდ და ოსმალიელნი კერძოდ ევროპიელ ქალებზე ნაკლებ თავისუფლებით არა სარგებლობენ, სწერს დოროტეა შუმახერი. ოსმალელი ქალები ისეთივე მისწრაფებითა და გრძნობებით არიან გატაცებულნი, რანაირითაც ევროპიელები, თუმცა ჰარამხანაში სცხოვრობენ, მაგრამ მაინც დაბეჯითებით ადევნებენ თვალ-ყურს თანამედროვე ცხოვრებასა და მწერლობას. ბევრმა მათგანმა კარგად იცის ევროპიული ენები, შესწავლილი აქვთ ევროპიული მწერლობა. არა ერთხელ შეხვდებით ოსმალურ გაზეთებში ქალების ნაწარმოებებს—რომანებს, ფელეტონებს და სხვა. ოსმალელი განსაკუთრებულის პატივისცემით ეპყრობა ქალს, და ქალებიც ღირსეულად აფასებენ ამ პატივისცემას. ევროპაში გავრცელებულია აზრი, თითქოს მრავალცოლიანობა შედეგი იყოს ოსმალთა გარყვნილებისაო. ესეც შემცდარი აზრია. მაჰმადის მოძღვრებით, შეიძლება კაცს ჰყავდეს ოთხი ცოლი; მაგრამ არც ეს შეიძლება გარყვნილებად ჩაითვალოს. რა უფრო კარგია, ეკითხება დასასრულ დოროტეა შუმახერი ევროპიელებს, ის, რომ ადამიანს ჰყავდეს ოთხი ცოლი, იკისროს ყველა ვალდებულებანი და კეთილ-სინდისიერად მოიხადოს ვალი თვითეულის მათგანის წინაშე, შეინახოს, მოუაროს შვილებს, თუ ის, რომ წარმ-მარა კავშირი დაიჭიროს ხან ერთს ქალთან, ხან მეორესთან და მერე თავის მოვალეობასაც გაექცეს? გერმანელი ქალი ამბობს, ევროპიელები უფრო გარყვნილები არიან, და ამიტომ საბუთი არა აქვთ ოსმალელები მრავალ-ცოლიანობისთვის დასძრახონო.

**„რულეტკის“ სამეფო.**

მონტე-კარლოს სათამაშო სახლს წარსულ წელს 3,750,000 ფრანკი დაუტრიალებია. იმ საზოგადოებას, რომელიც „რულეტკას“ ინახავს, წმინდა მოგება დარჩენია 18 მილიონი ფრანკი. ბანაკის მეფეს ალბერტს წილად ჰხდომია 7 ნახ. მილიონი ფრანკი.

**სალდათის საქციელი.**

„უტრო როსია“-ს ატყობინებენ: იზმაილოვის პოლკში სალდათი წაეჩხუბა მეეზოვეს და რევოლვერით დასჭრა. ყვირილზე მოიჭრა მორიგი სალდათი. გონება დაკარგულმა სალდათმა ისიც მძიმედ დასჭრა. მოიჭრა პორუჩიკი პოლოცკი, მაგრამ სალდათმა ისიც დასჭრა. მაშინ მოგროვდნენ სალდათები, წაართვეს იარაღი და ჰაუპტვახტში ჩასვეს.

## რუსეთი

**მატყლის საკითხი.**

სასოფლო მეურნეობაში მატყლს მცირე ადგილი არ უჭირავს. მეცხვარეობას ამიტომაც პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

1909 წელს ხივა ბუხარას გამოკლებით რუსეთში იყო—79,562,705—ცხვარი და თხა. გუბერნიის მიხედვით ასე იყო დანაწილებული:

| | |
|---|---|
| ჩრდილოეთ გუბერ. . . | 603,125 |
| ტბიანი გუბერ. . . . . | 849,935. |
| ბალტიის მხრის . . . . | 906,833. |
| ჩრდილ. დასავლ. . . | 2,746,948. |
| ცენტრალურ . . . . | 3,820,713. |
| შუა ვოლგის . . . . . | 6,576,679. |
| ვოლგას გაღაღმა . . . | 6,169,784. |
| დნეპრის გაღაღმა . . . | 3,969,644. |
| შიდა გუბერნ. . . . . | 4,471,388. |
| დნეპრი და დონის . . . | 5,935,456. |
| ვოლგა-დონის . . . . | 4,098,821. |
| ვისლ. მხრის . . . . . | 1,248,200. |
| ჩრდილ. კავკას. . . . | 5,591,792. |
| ამიერ კავკასიისა . . . | 5,678,777. |
| ციმბირის . . . . . . | 5,438,571. |
| შუა აზიის . . . . . . | 21,456,039. |

ამისდა მიუხედავად საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი მატყლის რაოდენობა სრულიად არ შეეხამება რუსეთში ცხვრის რაოდენობას. მოსალოდნელი იყო, რომ შემოტანილი მატყლი ნაკლები უნდა ყოფილიყო გატანილზე. ჩვენ კი წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. მაგალ.:

1910 წ. შემოუტანიათ დაუმზადებელი მატყლი—3,059,759 ფუთ. სულ 53,680,670 მანეთისა; დამუშავებული და ნაქსოვი—558,313 ფუთი—22,668,525 მანეთისა, მატყლის საქონელი კი 14,309,000 მან. სულ კი 90,668,090 მანეთისა. უმთავრესათ მატყლი შემოსულა დასავლეთ ევროპისა და ამერიკიდან.

რუსეთიდან კი საზღვარ-გარეთ გაუტანიათ იმავე წელს: 606,303 ფუთი.—5,501,885 მანეთისა. ამ რიცხვში 318,000 ფუთი მატყლი შემოტანილი იყო სპარსეთიდან და ავღანისტანიდან.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

18 აგვისტო.

### საზღვარ-გარეთ

**ინგლისი და ჩინეთი.**

**პეკინი.** ინგლისის ელჩმა ჩინეთის მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი იმის გამო, რომ იგი სცდილობს ტიბეთი ჩინეთის რესპუბლიკის პროვინციად გადააქციოს. მემორანდუმი მოითხოვს, ჩინეთმა ტიბეთს შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭოსო. ჩინეთს ნება აქვს ტიბეთში თავისი წარმომადგენელი იყოლიოს, მაგრამ ნება არა აქვს ლხასაში განუსაზღვრელი რიცხვი ჯარისკაცთა გაგზავნოსო. ახალ ხელშეკრულებით ინგლისმა უკვე აღიარა ჩინეთის რესპუბლიკა.

**ოსმალეთი, სერბია და ალბანეთი.**

**სალონიკი.** ბელგრადის დემონსტრაციებსა და ოფიციოზ „სამოუპრავის“ წერილის კილოს, რომელიც სენიცის ხოცვა-ჟლეტას შეეხებოდა, ოსმალეთში დიდი შთაბეჭდილება მოუხდნია.

„იენიზრი“ სერბიას აფრთხილებს, ომს ელოდე, თუ არ დასცხრები და ხალხის აღელვებას თავს არ დაანებებო.

ახალ ბაზრის სანჯაყში ალბანელები ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვენ იმ ფულს, რომელიც დანგრეულ-გადამწვარ სახლების ფასად ერგებათ, თუ არ მოგვცემთ ფულს, მთელ ალბანეთში, რაც ხაზინის ფული არის, სულ ჩვენ ავიღებთო.

**ბელგრადი.** „ოფიციოზი“ „სამოუპრავა“ სწერს, ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში პატარა ერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, რასაკვირველია იმათ, ვინაც დაინტერესებულია ამ საქმითაო. სახელმწიფოებმა, თუ ჰსურთ მშვიდობიანობის განმტკიცება, პატარა ერებიც უნდა მიიწვიონ კონფერენციადო.

გაზეთ „პოლიტიკის“ სიტყვით ოსმალებს რისტოვაცს ახლო 10 ათასი კაცი მოუგროვებიათ. ტუსიჩთან ოსმალეთის ასკერებს სერბიის სტრაჟნიკი მოუკლავთ.

**ბელგრადი.** ოსმალეთის ჯარის ჩამოსვლის შემდეგ სენიცაში მშვიდობიანობა დამყარდა. იაკორში გაქცეული სერბიელები თან და თან ბრუნდებიან.

**ყაზახების თავდასხმა.**

**ჯულფა.** ქოიდან მაკუს მიმავალს ას ყაზახს, სოფ. კარა-ზიადინთან ყაჩაღები დაესხნენ თავსა. ყაზახებმა დაუზარალებლად მოიგერიეს ყაჩაღები.

**წყალდიდობა.**

**ნორვიჩი.** წყალდიდობამ ქალაქი ძალიან დააზარალა. წყალი თან და თანა მატულობს. ეშინიათ, ვაი თუ დასალევი წყალი აღარ იქნეს და რაიმე ავადმყოფობა გაჩნდესო. 10 ათასი კაცი უსახლ-კაროდ დარჩენილა. ვაჭრობას ვერ ახერხებენ. ბევრი სახლი ჩამოქცეულა. რკინის გზაზე მიმოსვლა ძლივს აღადგინეს.

**ვიცე-კონსულის დატყვევება.**

**ბერლინი.** მთავრობა უარჰყოფს იმ აბავს, ვითომ მარაკეშში გერმანიის ვიცე-კონსული დაეტყვევებინოთ.

### რუსეთი

**რვა წლის კატორღა.**

**ნოვოჩერკასკი.** გლეხს კოლესნიკოვს, რომელმაც ისაულის თანაშემწე ვლად. კონკოვი მოჰკლა და მეორე დასჭრა, სასამართლომ რვა წლის კატორღა გადაუწყვიტა.

**არჩევნები.**

**ჩისტოპოლი.** საბირჟო კომიტე-

ტმა სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად აირჩია ვაჭარი ანტროპოვი.

**ვოლოგოდა.** საერობო კრებამ ხელმეორედ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად ერემეევი.

**სამარა.** საერობო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრად ხელახლად ნაუმოვი აირჩია.

**სევასტოპოლი.** სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობამ ხელმეორედ რიკოვი აირჩია.

**ჩერნიგოვი.** საერობო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია გრაფი მუსინ-პუშკინი.

**გაზეთის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „ნევსკი გოლოსის" მე-7 ნომერი, სადაც დაბეჭდილია წერილები: „მეთორმეტე წელი", „საარჩევნო ბილი", ხრონიკა და სხვა.

## თეატრი და ხელოვნება

სახალხო წარმოდგენების მართველი წრის რეჟისორი ალ. წუწუნავა უკვე ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა სეზონისათვის თადარიგს. განზრახულია წარმოსადგენად სამი პიესა: „ნაძირალნი" გორკისა, „წითელი მანტია„ ბრიესი და „მეფე იუშკევჩისა.

**აბასთუმანი.** სამშაბათს, 21 აგვისტოს, პავლე მეფისაშვილის თაოსნობით გაიმართება საღამო. წარმოდგენილი იქნება: ქართულად გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი", და რუსულად ერთ მოქმედებიანი ფარსი. დასასრულ გაიმართება დიდი **დივერტისმენტი**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ი. გრიშაშვილი, ს. ერთაწმინდელი, ისკ. ალიხანოვი, ყიფიანი და სხვა.

---

**ქ. თელავი.** 11 აგვისტოს სიღნაღიდამ ამოვლით, ქალაქის საკრებულო დარბაზში ვ. გუნიას გამგეობით, ვ. სარაჯიშვილმა და ი. ტომაშევიჩ-ყარაევმა კონცერტი გამართეს, რომელსაც შიგ ჩართული ჰქონდა კომიკური კუპლეტები ვ. აბაშიძის და შ. საფაროვის მიერ შესრულებული.

ასეთი კონცერტი იშვიათია თელავში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, როცა ხან და ხან რომელიმე საღამოს საკონცერტო განყოფილებას ჩაურთავენ ხოლმე, რამდენიმე შინაურულად მომზადებულ სიმღერის შესრულებით. ამისათვის ამ საღამოთი დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, მთელი დარბაზი გაივსო და, როგორც სხვა უიმისოდ ასეთ დროს, ზოგი იძულებული იყო ფეხზე დგომილიყო.

საზოგადოებამ-კი ბლომად მოიყარა თავი, მაგრამ რამდენად გაუმართლდა იმედი და კმაყოფილი დაბრუნდა, ამისი-კი რა მოგახსენოთ რამდენადაც შევნიშნე ამას არც საზოგადოება ჰმალავდა შინ დაბრუნებისას. საერთოდ საღამოს შინაარსი მეტად ხელმომჭირნედ შეედგინათ: რამდენიმე სიმღერა და კუპლეტები, როცა ადვილი შესაძლებელი იყო მეტის გამეტება, მაგ. ერთ მოქმედებიანი პიესა რომ ჩაერთოთ, ეს ცოტა არ იყოს გააფართოებდა შინაარსს.

საზოგადოება გულმხურვალედ დახვდა მოსულ არტისტებს და მათ სცენაზე გამოსვლისას ტაშის ცემით შეეგება. ვ, სარაჯიშვილმა მშვენივრად შეასრულა თავისი ნომრები, მას მხარში ედგა ი. ტომაშევიჩი-ყარაევი, თუმცა ამ უკანასკნელის, მგზავრობის გამო, ხმა ჰსუსტობდა.

კონცერტს უმეტესობა ქართველი დაესწრო, სიმღერები-კი წინააღმდეგ ქართულად ნაკლები იქმნა შესრულებული.

ვ. აბაშიძემ და შ. საფაროვმა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად ვაივაის ხმაზე წაიკითხეს კუპლეტები და რაღა თქმა უნდა, საზოგადოება უზომოდ აცინეს, თუმცა უნდა შევნიშნოთ პატივცემულ მსახიობთ, რომ ნაწყვეტების თემა მაგ. ბანკი, მემამულე, ადვოკატი, პრისტავი და სხვ. ძველის-ძველი იყო და სმზოგადოებასაც არა ერთხელ მოუსმენია, ამის მაგიერ დროს შესაფერი საჭიროვარამო საკითხები რომ აეღოთ, უფრო მოიმადლიერებდნენ საზოგადოებას.

17 აგვისტოს ვ. გუნიას, ვ. აბაშიძის და შ. საფაროვის მონაწილეობით დაიდგმება ნ. შიუკაშვილის ცნობილი პიესა **"მეგობრობა"**. შემზადებას უკვე შეუდგნენ ბ-ნ ვ. გუნიას ხელმძღვანელობით.

**დავიწყებული.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საagarაკო მ ა ტ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 407, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 45 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საagarაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საag.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## განცხადებანი

### ექიმ ნაკაშარიძის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1078.194)

### გ. და მ. ტერ-დავიდიანცის საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—8)

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წ ა მ ა ლ ი**

**„SALO—პიჩილინი"**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ.1161.18)

### ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—30)

### ბაღი „ედემი" ვერაზე

მომხიბლავი, მოხრიალე ჩანჩქერებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი" თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ.** № 295.

სრულის პატივისცემით **კ. ბაქრაძე.**

(25.1344.25)

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება სახელმძღვანელო წიგნები:** (20% დათმობით)

| | |
|---|---|
| გოგებაშვილის დედა-ენა I უყდო . . . ფ. 10 კ. | იოსელიანის ლოცვანი ყდით 30 კ. |
| „ „ I ყდიანი— 15 კ. | „ საღმრთო სჯული — 50 კ. |
| „ „ II — — 40 კ. | ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი . . . 60 კ. |
| „ ბუნების კარი . . . 70 კ. | ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ. 1 მ. 25 კ. |
| „ Методика къ Русскому слову . . . 40 კ. | აკაკი. იგავ არაკნი . . . 50 კ. |
| „ Русское слово I . . 40 კ. | ვეფხის ტყაოსანი . . . 60 კ. |
| „ „ „ II . . 50 კ. | კაცია-ადამიანი? . . . 20 კ. |
| გომელაური. ქართველი მწერლები . . I . . 80 კ. | გლახის ნაამბობი . . . 20 კ. |
| „ „ II 1 მ. 45 კ. | კაკო ყაჩაღი . . . 5 კ. |
| | ქართ. წერის დედანი სახატავი ნიმუშებით . . . 25 კ. |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (ფ. 1411.103).

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

### საკომერციო ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. 976).

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟების და ქალებისათვის. კურსის დამთავრ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.** პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster contoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათგან 42 ქალი. (თ. 145...)

**გამოსულია და იყიდება**

### ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

### ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ.** № 744. (თ. 1450 1)

### იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში.

„კოლხიდა" და „თამარა"

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სჯასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.1166.2)

**საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!**

### თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

### ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

### ხიზილალა,

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

(წ.1131.234)

### სნეულნო უფრთხილდით საშაღუბ... 

რადგანაც **„სპერმინის"** იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ **„სპერმინ-პელა"** აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

### სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მაღამოებსა დ სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.




ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ЬЯ Поставщики Двора Его Императорск. Величества С.ПЕТЕРБУРГЪ В.О. 7 линія 18.

Метцль. № 68398. (12.1208.12)

**ხელოვნურად შეზავებული**

### სამკურნალო და ხილეულოვის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ-სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.** (25.1407.6)

### 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

### „ნაკადულ"-ზე

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, ... რიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოცმარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—98 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

### ე. ა. ცატუროვის საწყობში

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

ი ყ ი დ ე ბ ა

### ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები „ი გ ა",



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „იგა"-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

| | | |
|---|---|---|
| 200 | სანთლის სინათლიანს | 25 მისხალი. |
| 1100 | „ „ | 32 „ |
| 1800 | „ „ | 80 „ |

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანრის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით**, რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვ. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა**; შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. 12.396.14